საქართველო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

07.09.2020 წ.

დ. მესტია

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com

## მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №38

## საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და ,,საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს №31/08/01 განკარგულების შესაბამისად და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით (17/07/2017), 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

4. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.

5.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:

ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას;

გ) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №47- მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას.

5. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის მე-პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

6. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას.

8.დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

9.ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

10.ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;

ბ) გამოიკრას მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.mestia-sakrebulo.ge

11.შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

12.საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა.

13. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე.

14. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

15. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ( მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — მაიზერ ჯაფარიძე

დანართი №1

საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა

1.დ.მესტიის ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის შენობა
2. დ. მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტდარბაზი
3.  იფარის მ. გელოვანის სახელობის  სპორტსკოლა
4. მულახის ი.გაბლიანის სახელობის სპორტსკოლა.
5. ლატალის  კულტურის სახლი.
6. ბეჩოს კულტურის სახლი
7. ჭუბერის ბ. კახიანის სახელობის სპორტსკოლა

დანართი №2

(არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა

| საოლქო საარჩევნო კომისიის # | ოლქის დასახელება | უბნის ნომერი | უბნის ადგილმდებარეობა | უბნის მისამართი | ვის საკუთრებაშია შენობა (კონკრეტული უწყება) |
|---|---|---|---|---|---|
| ოლქის ნომერი | ოლქის დასახელება | უბნის ნომერი | უბნის დასახელება | უბნის ადგილმდებარეობა | უბნის მისამართი |
| 47 | მესტია | 1 | სეტი | ბეთლემის ქუჩა 12 | სპორტ დარბაზის შენობა |
| 47 | მესტია | 2 | ლანჩვალი | აღმაშენებლის ქუჩა 21 | საჯარო სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 3 | მაზერი | სოფელი მაზერი | საჯარო სკოლის შემობა |
| 47 | მესტია | 4 | უშხვანარი | სოფელი უშხვანარი | ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 5 | დოლასვიფი | სოფელი დოლასვიფი | სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 6 | ბარში | სოფელი ბარში | საბავშო ბაღის შენობა |
| 47 | მესტია | 7 | ლანტელი | სოფელი ლანტელი | სავადმყოფოს შენობა |
| 47 | მესტია | 8 | ისკარი | სოფელი ისკარი | სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 9 | ებუთი | სოფელი ებუთი | ბიბლიოთეკის შენობა |
| 47 | მესტია | 10 | კალაში | სოფელი კალაში | მურღვლიანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 11 | იფარი | სოფელი იფარი | საჯარო სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 12 | ადიში | სოფელი ადიში | კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 13 | კალა | სოფელი კალა | ყოფილი საკრებულოს შენობა |
| 47 | მესტია | 14 | ლახუშდი | სოფელი ლახუშდი | ბაგრატ ასულბანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 15 | იენაში | სოფელი იენაში | კულტურის სახლი |
| 47 | მესტია | 16 | ლეშუკვი | სოფელი ლეშუკვი | ივეჩიანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 17 | ლახამულა | სოფელი ლახამულა | ადმინისტრაციული შენობა |
| 47 | მესტია | 18 | დიზი | სოფელი დიზი | საჯარო სკოლის შენობა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 47 | მესტია | 19 | ქვედა იფარი | სოფელი ქვედა იფარი | შუკვანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 20 | ლემსია | სოფელი ლემსია | სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 21 | სოლი | სოფელი სოლი | ხაფთანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 22 | მუჟალი | სოფელი მუჟალი | საჯარო სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 23 | ჭოლაში | სოფელი ჭოლაში | ყოფილი საკრებულოს შენობა |
| 47 | მესტია | 24 | ჟამუში | სოფელი ჟამუში | ქალდანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 25 | მურშკელი | სოფელი მურშკელი | ქურდიანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 26 | ნაკრა | სოფელი ნაკრა | ყოფილი საკრებულოს შენობა |
| 47 | მესტია | 27 | ქართვანი | სოფელი ქართვანი | გაბულდანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 28 | უშგული | სოფელი უშგული | ადმინისტრაციული შენობა |
| 47 | მესტია | 29 | ფარი | სოფელი ფარი | კლუბის შენობა |
| 47 | მესტია | 30 | ციცხვარი | სოფელი ციცხვარი | კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 31 | ქვედა ლუჰა | სოფელი ქვედა ლუჰა | ხაფთანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 32 | მაგარდელი | სოფელი მაგარდელი | მილდიანის კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 33 | სვიფი | სოფელი სვიფი | ყოფილი საკრებულოს შენობა |
| 47 | მესტია | 34 | წვირმი | სოფელი წვირმი | ადმინისტრაციული შენობა |
| 47 | მესტია | 35 | იელი | სოფელი იელი | დაწყებითი სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 36 | ყარსგურიში | სოფელი ყარსგურიში | საჯარო სკოლის შენობა |
| 47 | მესტია | 37 | ქვედა მარღი | სოფელი ქვედა მარღი | ყოფილი საკრებულოს შენობა |
| 47 | მესტია | 38 | ხაიში | სოფელი ხაიში | სატყეოს შენობა |
| 47 | მესტია | 39 | ქვედა ვედი | სოფელი ქვედა ვედი | ჭკადუას კერძო სახლი |
| 47 | მესტია | 40 | იდლიანი | სოფელი იდლიანი | დაწყებითი სკოლის შენობა |